# დავიცვათ ბავშვი ძალადობისა და უგულებელყოფისგან

## დაბადებიდან ბავშვი იძენს ხელშეუხებელ უფლებას იყოს დაცული მზრუნველი მშობლის მიერ



სამყაროს აღმოჩენას პატარები მშობლებთან ურთიერთობით იწყებენ. მზრუნველი, მოსიყვარულე ოჯახური გარემო ყველაზე ძლიერი დამცავი მექანიზმია ძალადობის წინააღმდეგ.

ბავშვსა და მშობელს შორის უსაფრთხო, სტაბილური ურთიერთობა წინ ელობება ძალადობასა და ბავშვისთვის საზიანო სხვა მოვლენებს, რომლებმაც შეიძლება სამუდამო დაღი დაასვან ბავშვის ჯანმრთელობას და განვითარებას.

## განასხვავე დისციპლინა ბავშვის მიმართ ძალადობისგან!
## ძალადობა — რა არის ეს?

ნებისმიერი ქმედება, რომელიც აზიანებს ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

**ფიზიკური ძალადობა** - დარტყმა, ხელის კვრა, სილის გაწნა, წამოთაქება, ან სხვა ფიზიკური ზემოქმედება, თუნდაც აღმზრდელობითი მიზნით; ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და/ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას.

**ემოციური (ფსიქოლოგიური ძალადობა)** - ქცევები, რომელთა მიზანია აკონტროლოს, მართოს ბავშვის მოქმედებები და ემოციები მისი დამორჩილების მიზნით: დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა, მუქარა, ისეთი საქციელის დაბრალება, რომელიც მას არ ჩაუდენია და სხვა. მოზრდილთა ჩხუბი ბავშვის თანდასწრებით. ემოციური ძალადობა შეიძლება ვლინდებოდეს ცალკე ან შეიძლება წარმოადგენდეს ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შემადგენელ ნაწილს;

**სექსუალური ძალადობა** - სექსუალური მეტყველებით დევნა, სექსუალური გარყვნა, ეროტიული ელფერის ალერსი, თვალთვალი, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღება, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ნებართვა ან ხელშეწყობა, გაუპატიურება ან გაუპატიურების მცდელობა, სასქესო ორგანოების დემონსტრირება, ღია საუბრებს სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევას (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულებას და სხვა.

**უგულებელყოფა** - ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა) რეგულარული დაუკმაყოფილებლობა მშობლის თუ მეურვის მხრიდან, ობიექტური მიზეზების გამო (სიღარიბე, ფსიქიკური დაავადებები, გამოუცდელობა) ან ამგვარი მიზეზების გარეშე.

## დააფასე ბავშვის დამოუკიდებლობა და თავისუფლება

- კარგი მშობლობა გულისხმობს იპოვო ბალანსი თავისუფლებასა და შეზღუდვებს შორის.

- შერცხვენა, დაშინება, საჯაროდ თავის მიმართ უარყოფითად განწყობა, მუდმივი გაკონტროლება არ უყალიბებს ბავშვს პასუხისმგებლობის გრძნობას. თანაგრძნობის, მოსმენის დაფასების საშუალებით გაუღვივე ბავშვს პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითკონტროლის უნარი.

- ბავშვი სარკეა, რომელიც ირეკლავს ყველაფერს, რასაც მშობელი ამბობს და აკეთებს.

## ეცადე, წარმოიდგინო თავი შვილის ადგილას და დაფიქრდი, რას შეიძლება გრძნობდეს პატარა.

ისურვებდი სხვისგან შენდამი მსგავს მოქცევას?
შენი რეაქციით შეცვლი ბავშვის ქცევას?
შენი იმედგაცრუება ბავშვზე ხომ არ გადაგაქვს?



## ხშირად ბავშვისადმი მკაცრ და უხეშ მოპყრობას იწვევს:

ინფორმაციის ნაკლებობა ბავშვის აღზრდის შესახებ, არარეალური მოლოდინები, გადაღლილობა, სტრესი, მარტოობა,... ეს ყველაფერი ძალას გართმევს და იმედებს გიცრუებს.

ყოველთვის არსებობს გამოსავალი. გვერდზე გადადე სიამაყე, სირცხვილი, როცა საქმე შვილის კეთილდღეობას ეხება. თუ ფიქრობ, რომ დახმარება გჭირდება, გსურს გაიგო რას ნიშნავს კარგი მშობლობა და არ იცი რა არის უკეთესი შენი პატარასთვის, მიიღე რჩევები პროფესიონალებისგან, დაუკავშირდი ცხელ ხაზზე 116 111. დახმარების მიღება არასდროსაა ადრე ან გვიან.

## პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზა პრევენციაა!

- დაფიქრდი, რას ნიშნავს ბავშვის "ცუდი ქცევა". გაარკვიე, შენი შვილის ასაკისთვის რა ქცევა შეიძლება ჩაითვალოს "ნორმალურად";
- ბავშვს შეცდომების დაშვების უფლება მიეცი, მაგრამ არ მოუწონო საქციელი, რომელიც ავნებს მას ან სხვას;
- მიეცი კარგი ქცევის მაგალითი;
- კონკრეტულად მიუთითე ბავშვს. ის ყოველთვის ვერ ხვდება რას მოითხოვ მისგან. ამიტომ მისთვის გასაგებად და ნაკლები სიმკაცრით აუხსენი, რას ელი მისგან;
- გამოიჩინე ინტერესი ბავშვის საქმიანობის მიმართ;
- მყისიერად გაამხნევე და შეაქე ბავშვი კარგი საქციელისთვის;

- ბავშვს ასწავლე, როგორ მოიქცეს უცნობ ადამიანებთან, როგორ თქვას "არა";
- ბავშვს მოუყევი, სხეულის "პირადული" ნაწილების შესახებ და აუხსენი, რომ არავის აქვს უფლება შეეხოს მას;
- ბავშვს ესაუბრე კარგი და ცუდი საიდუმლოს შესახებ;.
- აგრძნობინე და უთხარი ბავშვს, რომ შენ ყოველთვის მზად ხარ მის მოსასმენად და დასახმარებლად;
- ბავშვის მიმართ სიყვარული და სითბო გამოხატე.
  ჩაეხუტე და ხშირად გაუმეორე, რომ ძალიან გიყვარს.

**ურთიერთობა კარგი მშობლობის საწინდარია... ყველა კარგი ურთიერთობა კი დროს მოითხოვს... მოეპყარი ნდობით და სიყვარულით... ბავშვს ისე მოექეცი, როგორც შენ გინდა რომ გექცეოდნენ.**

**სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი მშობლების, კანონიერი მეურვეებისა და ბავშვზე მზრუნველი სხვა პირის მხრიდან ნებისმიერი სახის ძალადობისა და უხეში მოქცევისაგან (ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 19) .**

აშშ-ს საელჩო საქართველოში
The U.S. Embassy in Georgia

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი

## ბავშვთა დახმარების ხაზი 116 111


თბილისის ბავშვთა დახმარების ცენტრი
საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის ცენტრალური ოფისი

მისამართი: ქ. თბილისი, ედიშერ მაღალაშვილის ქ. № 4, ბინა № 1
ტელ: 2 421 422
ფაქსი: 2 421 423

ბათუმის ბავშვთა დახმარების ცენტრი
მისამართი: ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. № 2ა
ტელ: 225 830

ელ-ფოსტა: info@phmdf.ge
ვებ. გვერდი: www.phmdf.ge


